ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიხეგაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შედგა ჩემი საჯარო შეხვედრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან (მათ შორის: ჩემი სამაჟორიტარო, სამგორის 6-13 ოლქის ამომრჩევლებთან). შეხვედრის ფარგლებში, წარვადგინე ანგარიში ჩემს მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიშის განხილვისას ვუპასუხე ასევე მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

ინფორმაციის სახით, გიგზავნით საქმიანობის ანგარიშს.

პატივისცემით,

გულიკო ზუმბაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე

<u>დანართი:</u> - 20 ფურცლად

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 21 ფურცელი
№ 10/18525 29.10.2015

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარის

გულიკო ზუმბაძის

საქმიანობის ანგარიში 2015 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე

❖ ზოგადი ინფორმაცია

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრი სამგორის #6-13 საარჩევნო ოლქიდან.
- სამაჟორიტარო ტერიტორია: ლილო, ორხევი, აეროპორტის დასახლება, წინუბანი, ნასაგური, დიდი ლილო, პატარა ლილო, ვარკეთილის დასახლება.
- საკრებულოს ფრაქცია: ,,ქართული ოცნება-რესპუბლიკელები" .
- 2014 წლის ივლისიდან დღემდე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე.

❖ ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა - 20
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა - 27

პოლიგონზე განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომებში განხილული საკითხები:

➢ **23** იანვარი - დღის წესრიგი:

1. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბ-ნ გიორგი ალიბეგაშვილის ინიციატივა - კულტურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეთა ძეგლებისა და მემორიალური დაფების თბილისში განთავსების შესახებ;
2. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებებისა და სხვა მიმდინარე საკითხების განხილვა;
3. ნამალადევის რაიონში, კიკვიძის პარკში მედიათეკის მშენებლობის შესახებ.

➢ **03** თებერვალი -დღის წესრიგი:

1. თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;
2. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები.

➢ **06** თებერვალი - დღის წესრიგი:

1. ბიულ-ბიულ ოღლის ქანდაკების (სკულპტურული პორტრეტი) თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის სკვერში განთავსების შესახებ;
2. ა(ა)იპ ,,თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის'' მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა;
3. საქართველოს მცირე საოპერო თეატრის ,,რეგიონ-ოპერას'' მიერ დაგეგმილი პროექტის- ,,დაისი'' განხორციელების ვადის გაგრძელების შესახებ.

➢ **17** თებერვალი -დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ,,თბილისის'' კულტურული ღონისძიებების ცენტრის'' მიერ წარმოდგენილი პროექტები;
2. ქ. თბილისის თოჯინების მუზეუმის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები;
3. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა.

➢ **06 მარტი - დღის წესრიგი:**

ლიტერატურული ჟურნალის „ცისკარი" გამოცემის ხელშეწყობა.

➢ **16 მარტი -დღის წესრიგი:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის), მერის მოადგილის, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსისა და ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ.

➢ **31 მარტი - დღის წესრიგი:**

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის" მოსმენა ;
2. ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის " მიერ წარმოდგენილი პროექტები.

➢ **06 აპრილი - დღის წესრიგი:**

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბრის #18-57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ' 'პროექტთან დაკავშირებით.

➢ **17 აპრილი -დღის წესრიგი:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სახლის დაფუძნების შესახებ;
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ".

➢ **07 მაისი - დღის წესრიგი:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახბითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა

მემორიალური ობიექტების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ პროექტის ინიცირება;

2. ქ. თბილიში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის "თბილისი" ჩატარების შესახებ დადგენილები პროექტისა და ჩატარებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ განკარგულების პროექტის ინიცირების საკითხი.

➢ **29** ივნისი -დღის წესრიგი:

თბილისის საერთაშორისო აეროპორტისათვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭების თაობაზე.

➢ **30** ივნისი -დღის წესრიგი:

1. სტიქიით დაზარალებულ ბავშვთა რეგისტრაციის პროცედურის გამარტივების შესახებ;

2. სკოლამდელი აღზრდის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღძრდის დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშის/აღზრდის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე.

➢ **09** ივლისი -დღის წესრიგი:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ ,,ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მოსმენა.

➢ **13** ივლისი -დღის წესრიგი:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის და ა(ა)იპ ,,თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის " მოსმენა.

➢ **03** სექტემბერი - დღის წესრიგი:

1. ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის ,,თბილისი" ჟიურის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

2. განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების განხილვა.

➢ **25 სექტემბერი - დღის წესრიგი:**
,თბილისობა 2015"-თან დაკავშირებით თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ კონკურსში ,,ჩემი თბილისობა" გამარჯვებულ კონცეფციათა განხილვა.

➢ **02 ოქტომბერი - დღის წესრიგი:**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე / აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე.

❖ ინფორმაცია საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებისა და ინიცირების შესახებ:

1. ,,ქ. თბილისში, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №156 განკარგულება - ინიციატორი და ავტორი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია;

2. ,,ქალაქ თბილისის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - ინიციატორი და ავტორი ფრაქცია ,,ქართული ოცნება - რესპუბლიკელები".

❖ ინფორმაცია ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ:

- ამომრჩეველთა მიღება მაჟორიტარის ოფისში

✓ მიღების დღე - ყოველი კვირის ოთხშაბათი;

✓ 2015 წლის იანვარ - ოქტომბრის განმავლობაში მაჟორიტარი დეპუტატის ოფისმა მიიღო - 605 მოქალაქე;

- ✓ დეპუტატს განცხადებით მიმართა - 185 მოქალაქემ;
- ✓ მაჟორიტარი დეპუტატი პირადად შეხვდა - 205 მოქალაქეს;
- ✓ დეპუტატის გასვლითი შეხვედრები მოეწყო - 36 მისამართზე;
- ✓ მაჟორიტარების ოფისის თანამშრომლების ადგილზე გასვლა მოხდა - 28 მისამართზე;
- ✓ სატელეფონო კონსულტაცია გაეწია - 150 მოქალაქეს

- o მოქალაქეთა მიღება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში:
- ✓ პირადი შეხვედრა - 102 მოქალაქე;
- ✓ კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების რაოდენობა - 422 <u>(მათ შორის: 16 კოლექტიური განცხადება)</u>;
- ✓ კომისიის თავმჯდომარის ადგილზე გასვლითი შეხვედრები მოეწყო - 11 მისამართზე;
- ✓ სატელეფონო კომუნიკაცია შედგა და კონსულტაცია გაეწია - დაახლოებით 1000 მოქალაქეს.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში შემოსული განცხადებების რაოდენობა შინაარსის მიხედვით:

- დასაქმება - 90
- განცხადება ერთჯერადი ფულადი დახმარება - 29 განცხადება
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 51 განცხადება
- ჯანდაცვა - 20 განცხადება
- სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ან არასწორად მინიჭებული სარეიტინგო ქულების გადამოწმება - 21 განცხადება
- სს საქმეებში დაფიქსირებული დარღვევები - 19 განცხადება
- შრომითი დავები - 12 განცხადება
- სამშენებლო დავები - 22 განცხადება

- თვითნებურად დაკავებული ფართების დაკანონება - 36 განცხადება
- გაზიფიკაცია - 11 განცხადება
- საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა - 10 განცხადება
- სხვა - 98

აღნიშნული განცხადებები, ასევე კომისიის 20-მდე ინიციატივა გადაიგზავნა სხვადასხვა კომპეტენტურ უწყებებში, მათ შორის: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, საქართველოს პარლამენტში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში და სხვ.

❖ ინფორმაცია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ:

1. თანამშრომლობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან:

   - სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრი.

   საქმიანობის მიზანი: დოკუმენტის - „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“ - შემუშავება.

2. თანამშრომლობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან:

   - სამუშაო ჯგუფის წევრი.

   საქმიანობის მიზანი: „უსახლკაროების პრობლემის დაძლევის სტატეგიული დოკუმენტი 2016-2030“ - შემუშავება.

3. თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან:

   - სამუშაო შეხვედრა საქართველოს სახალხო დამცველთან- უჩა ნანუაშვილთან. შეთანხმება სამომავლო თანამშრომლობაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, დედაქალაქთან მიმართებაში;

- სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების რეგულარული მონაწილეობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის მიერ ორგანიზებულ სხდომებში.

4. თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან:

- სამუშაო შეხვედრები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან დავით ნარმანიასთან ცალკეულ პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

- მონაწილეობა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომებსა და მერის მიერ ინიცირებულ ღონისძიებებში.

- სამუშაო შეხვედრა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელობასთან, სამაჟორიტარო ოლქში მუნიციპალურ ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან დაკავშირებით.

- შეხვედრები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბაგა/ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობასთან სკოლამდელ აღზრდის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობასთან:

- სამუშაო შეხვედრები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობასთან სამაჟორიტარო ოლქის საკითხების განხილვისა და პრობლემების მოგვარების მიზნით.
  მნიშვნელოვანი საკითხები: ინფრასტრუქტურა, სოციალური დახმარებები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები და სხვა.

სამგორის რაიონის გამგეობის მიერ სამაჟორიტარო ოლქში განხორციელებული ღონისძიებები:

- ✓ საგზაო სამუშაოები - 15 მისამართზე (ღირებულება 1 800 000ლარი)
- ✓ შიდა ეზოების მოწესრიგების სამუშაოები - 18 მისამართზე
- ✓ მცირე ზომის სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები - 9 მისამართზე
- ✓ სპორტული მოედნების აღდგენის სამუშაოები - 8 მისამართზე

- ✓ მიმდინარეობს მუშაობა ქიზიყის ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.
  სხვა

- <u>ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამგორის რაიონის 2016 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით.</u>

➢ სხვა სახის ინფორმაცია:

ინიციატივები/რეკომენდაციები:

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივა „ქალთა და ბავშვთა უფლებების საკოორდინაციო ცენტრის" შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით გადაეგზავნა თბილისის მუნიციპალიტეტის მერს;

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის რეკომენდაცია „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერით ორგანიზებული ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში შშმ პირთა უფლებების დაცვის გარანტიების გათვალისწინების შესახებ", შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს;

- გულიკო ზუმბაძის ინიციატივით საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭათ დამსახურებულ ინჟინერს ქალბატონ ლამარა აბაშმაძეს(2014წ.) და ცნობილ მეცნიერს ქალბატონ მზექალა შანიძეს (2015წ.)

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა:

- გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ ორგანიზებული სემინარი: „საჯარო მოხმარების ტერიტორიები და არასათანადოდ მოწყობილი

დასახლებების ამოცანები“ - 24-27 თებერვალი, 2015 წელი, ჟენევა, ეროვნებათა სასახლე.

- ,,ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მე-5 მსოფლიო ფორუმი“ -2015 წლის 11-15 მაისი, ისრაელი, იერუსალიმი.
- ,,კულტურათაშორისი დიალოგის მე-3 მსოფლიო ფორუმი“ - 2015 წლის 18-19 მაისი, აზერბაიჯანი, ბაქო .

➢ შეხვედრები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- შეხვედრა პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლებთან, მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით - 22 იანვარი, 2015 წელი, თბილისის საკრებულო.

- შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალბატონებთან, დისკუსია თემაზე: ,,თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ქალების საჭიროებები და მათი ჩართულობა სამოქალაქო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, არსებული პრობლემები და გადაჭრის გზები“ - 05 მარტი, 2015 წელი. თბილისის საკრებულო.

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ,, ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე - ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები“ - 7 მაისი, 2015 წელი.

- სახალხო დამცველის ანგარიში „ბავშვთა უფლებების შესახებ“ - 3 ივნისი, 2015 წელი.

- <u>მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის - 25 ივნისი, 2015 წელი.</u>

- „საქართველოს კონსტიტუციის 20 წლისთავი“, მიღება პრეზიდენტის სასახლში - 26 აგვისტო 2015 წელი.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ააიპ თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის გახსნა - 14 სექტემბერი, 2015 წელი, ყვარელი, იუსტიციის სახლი.

- პრეზენტაცია ,,თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია" -17 ოქტომბერი, 2015 წელი.
- "თბილისობა - 2015", "საპატიო თბილისელების" დაჯილდოების ცერემონიალი, 17 ოქტომბერი, 2015 წელი, ეროვნული მუზეუმი.

- სახალხო დამცველის ანგარიში - ,,ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიასა და მუსლიმური კონფენსიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში" - 26 ოქტომბერი, 2015 წელი.

➢ თბილისის საკრებულოში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა

- ჟურნალ „ცისკარი" - ს პრეზენტაცია საკრებულოში - 14 თებერვალი, 2015 წელი.

- ევროპის კვირეულის ოფიციალური გახსნა - 5 მაისი, 2015 წელი.

- სასულიერო აკადემია-სემინარიის მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია - 10 ოქტომბერი, 2015 წელი.

- კონკურსი ,,თბილისი 2015" დაჯილდოება თბილისის საკრებულოში -19 ოქტომბერი, 2015 წელი.

➢ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საკოორდინაციო ჯგუფის მიერ ორგანიზებული, სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ბავშვთა ნახატების გამოფენა - 15 თებერვალი, 2015 წელი.

- ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღესთან მიძღვნილი ღონისძიება - 27 იანვარი, 2015 წელი.

- პრეზენტაცია „მარგალიტები მეხსიერების საგანძურიდან“ (აფხაზეთის თემა) - 14 აგვისტო, 2015 წელი.

- „სპმთპ ადამიანის უფლებები კულტურის ამაღლებისთვის“ ფარგლებში სახელმწიფო არქივის მასალების გამოფენა - 2 ოქტომბერი, 2015 წელი.

- მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება სამგორის რაიონში - 8 ოქტომბერი, 2015 წელი.

➢ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- მრავალპარტიული კონფერენცია (NIMD) ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ - 8 მარტი, 2015 წელი.

- საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) „ქალთა გაძლიერება უკეთესი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის“- 4 მარტი, 2015 წელი.

- მრავალპარტიული კონფერენცია (NIMD) პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ - 16 მარტი, 2015 წელი.

- გენდერული თანასწორობის ქსელი (IFES) - „გზა წარმატებისთვის“- 8 მარტი, 2015 წელი.

- გენდერული თანასწორობის ქსელი (IFES) - „გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ პროცესებში“- 28 მარტი, 2015 წელი.

- მედიის განვითარების ფონდი ფორუმი „ქალები ცვლილებებისთვის“- 18 აპრილი, 2015 წელი.

- გენდერული თანასწორობის ქსელი (IFES) „ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში“- 24 აპრილი, 2015 წელი.

- მრავალპარტიული კონფერენცია (NIMD) - ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში - 15 ივნისი, 2015 წელი.
- გენდერული თანასწორობის ქსელი (IFES) - თბილისის გენდერული ფორუმი - 10 ივლისი, 2015 წელი.

- მრავალპარტიული კონფერენცია (NIMD) - მრავალპარტიული რეზოლუცია პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ - 18-19 ოქტომბერი, 2015 წელი.

- CCI Georgia - სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი - საქართველოს თვითმართველობის პრობლემის გადაჭრის გზები, ახალგაზრდების ჩართულობა - 20 ოქტომბერი, 2015 წელი.

- Women`s Information Center - სამუშაო შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის მიზნით საკრებულოში - 26 ოქტომბერი, 2015 წელი.

- NDI - ის ორწლიან პროგრამაში „ლიდერი ქალებისათვის" მონაწილეობა - 2015 -2016 წლები.

➢ ინიცირებული აქციები:

- „თბილისის საკრებულოს წევრების ვიზიტი ეროვნულ სკრინინგ ცენტრში", აქციის მიზანი: კიბოს პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის პოპულარიზაცია მოსახლეობაში - 14 თებერვალი, 2015 წელი.

- „აუტიზმის მსოფლიო დღე" - აუტიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ აქციაში მონაწილეობა - 2 აპრილი, 2015 წელი.

- „ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღე" - ვიზიტი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრში, აქციაში-„სიცოცხლის ხე"- მონაწილეობის მიღება - 24 აპრილი, 2015 წელი.

- 13-14 ივნისის სტიქიასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობა და დახმარება.

- საქველმოქმედო აქცია არასრულწლოვანის დასახმარებლად.

➢ სამაჟორიტარო ოლქში ჩატარებული ღონისძიებები

- ქიზიყის ქუჩიდან ორხევის #216-ე საჯარო სკოლის მიმართულებით სპეციალური ავტობუსის დანიშვნა მოსწავლეთა გადასაყვანად;

- ვიზიტი სამგორის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთად და მისი სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება;
- „მუსიკისა და იუმორის საღამოები“ ისანი-სამგორის რაიონში;
- მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელობის ტაძრის მშენებლობის ხელშეწყობა თეთრიხევის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ლილოს დასახლებში უყურადღებოდ მიტოვებული სპორტული დარბაზისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქცია;
- საახალწლო და სააღდგომო აქციები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის;
- საახალწლო ღონისძიება/ კონცერტი ლილოს დასახლებაში მდებარე სკვერში;
- საშობაო შეხვედრები საბავშვო ბაღების თანამშრომლებთან;
- სხვა.

➢ სამაჟორიტარო ოლქის ტერიტორიაზე ახალი ობიექტების გახსნაში მონაწილეობის მიღება:

✓ სამშენებლო ჰიპერმარკეტის "დომინო";
✓ ახალი საბაჟო-სასაწყობო ტერმინალის გახსნის საზეიმო ცერემონიალი ,,ლილო-მოლის“ ბაზაზე;
✓ სავაჭრო - გასართობი კომპლექსი „ისთ პოინთი“;
✓ ახალი, რეაბილიტირებული სპორტული დარბაზის გახსნა ლილოს დასახლებაში.

➢ ბრიფინგები და პრესკონფერენციები:

- ბრიფინგი დედაქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონთან დაკავშირებით, დიდი ლილოს მაცხოვრებლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლის და საგანგებო ღონისძიებების გატარების შესახებ;
- ბრიფინგი სახელმწიფო ბალანსზე რიცხული და მრავალი წლის მანძილზე მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების ამჟამინდელ მოსარგებლეთა საკუთრებაში გადაცემის შესახებ;
- ბრიფინგი ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში ბავშვთა განყოფილებაში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ;
- პრესკონფერენციები სხვადასხვა პრეს-კლუბებში მიმდინარე და აქტუალურ საკითხებზე.

სამომავლო გეგმები

- 2016 წლის ბიუჯეტზე აქტიური მუშაობა

პრიორიტეტები სამაჟორიტარო ოლქში:

- ✓ წყალგაყვანილობა და საკანალიზაციო ქსელი
- ✓ ავარიული კორპუსები
- ✓ სახურავები
- ✓ გზები
- ✓ სპორტული მოედნები და სკვერები
- ✓ სატრანსპორტო პრობლემების მოგვარება
- ✓ გარემოს დაცვა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება
- ✓ დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქალაქის ნარჩენების პოლიგონთან დაკავშირებული საკითხების ბოლომდე მიყვანა, მოსახლეობის უფლებების დაცვა
- ✓ მუშაობა ელექტროენერგიის პრობლემებთან დაკავშირებით
- ✓ ახალი საბავშვო ბაღი წინუბნის დასახლებაში
- ✓ მუშაობა ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის პერსპექტივებზე

- ✓ დაუკანონებელ შენობებში მცხოვრები ოჯახების დახმარება
- ✓ ნიჭიერ ბავშვთა ხელშეწყობა
- ✓ მუშაობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან პირველადი ჯანდაცვის ობიექტების შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სამოქმედო გეგმა

1. საცხოვრისის ხელმისაწვდომობა, მათ შორის: სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების დაკანონება, სხვა ალტერნატიული საცხოვრებლის არმქონე ფაქტობრივი მფლობელებისა და მოსარგებლეებისათვის;
2. მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების უზრუნველყოფა, მათ შორის: თვითმმართველობის დაქვემდებარებაში სანიტარულ-ჰიგიენური სამსახურის ჩამოყალიბება;
3. მერიის სისტემაში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო ცენტრის შექმნა;
4. დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მოწესრიგება/კონსერვაცია;
5. ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემების გაანალიზება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
6. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;
7. პირველადი ჯანდაცვის ობიექტების ხელმისაწვდომობა;
8. თბილისის ტერიტორიაზე საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში ხმაურის შემცირების გადაუდებელი ღონისძიებები;
9. თბილისში არსებული კერძო ტაქსების გაუმართაობა და პრობლემის მოგვარების გზები;

10. კომუნიკაცია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან და მათი დახმარებით ევროპული ქვეყნების თვითმმართველი ქალაქების გამოცდილების გაზიარება ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე;

11. თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

12. <u>დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა - მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ანგვარიშვალდებულების განხორციელების უზრუნველყოფა ხელისუფლების ყველა დონეზე!</u>

საკრებულოს წევრი

გულიკო ზუმბაძე